



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 59

01/06/2017

59-03-4-201706011051



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის
მამუკა ქილიფთარის სამსახურებრივი მივლინების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის და „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - მამუკა ქილიფთარი მივლინებულ იქნას ქალაქ თბილისში ფინანსთა სამინისტროს მიერ დაგეგმილ შეხვედრაზე დასასწრებად საჯარო სამსახურის რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით, 2017 წლის 1 ივნისიდან 2 ივნისის ჩათვლით.

2. დაევალოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა